

გოდნიეკი იყოს 2015-2016 სასწავლო წელი!

5 თქტომბერი მასწავლებლის დღეა – გილოტცავთ!

თბილისის 142-ე საჯარო სკოლაში

სასტუმრო სიხარული



დაიწყა ახალი სასწავლო წელი და საჯარო სკოლები ჩვეულ რიტმს დაუბრუნდნენ... განათლების სამინისტროს ინფორმაციით, წლეულს, სასწავლო წელიში გარკვეული ცვლილებები და სიახლეებია, მათ შორის, ეროვნულ სასწავლო გეგმაში და ინკლუზიური განათლების კუთხით. ყველა საჯარო სკოლაში, ტრადიციულად, თითოეულ პირველკლასელს მერხზე დახვდათ სასკოლო ნივთები, ბუკები და ასევე, ბოთლით სასმელი წყალი.

14 სექტემბერს, 142-ე საჯარო სკოლაში მართლაც, საზეიმო განწყობა სუფევდა, ისმოდა სასიამოვნო მუსიკა, იყო ბევრი ყვავილი და ლამაზად მორთული ინტერიერი... სკოლის ეზოში თავი მოეყარათ პედაგოგებს, ბავშვებს და მშობლებს, რომლებიც სწავლის დაწყებას ულოცავდნენ ერთმანეთს. ზეიმზე, თავდაპირველად, პირველკლასელებმა წაიკითხეს ლექსები, შემდეგ კი მე-12 კლასის წარმატებული მოსწავლეები მიესალმნენ პატარებს. ბავშვებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცა სკოლის დირექტორმა შორენა ცნობილაძემ, რომელმაც მოსწავლეებს მოუწოდა აქტიურობისკენ, რათა მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ სასწავლო პროცესს. საზეიმო ღონისძიებაზე ბავშვებმა შეასრულეს საქართველოს ჰიმნი და აღმართეს დროშა.

აღნიშნული ღონისძიების დასრულების შემდეგ, ჩვენ გავესაუბრეთ შორენა ცნობილაძეს, რომელიც გახლავთ უაღრესად კეთილშობილი პიროვნება, პროფესიონალი და თავისი საქმის კარგი მცოდნე. სწორედ, მისი ინიციატივით, სკოლაში არაერთი წარმატებული პროექტი თუ სიახლე განხორციელდა, დამყარდა წესრიგი... ამიტომაც, აფასებენ მას კოლეგები და მოსწავლეები.

ჩვენთან საუბრისას დირექტორმა აღნიშნა:

– შარშანდელი სასწავლო წლის შედეგებით პედაგოგები ძალიან კმაყოფილი ვართ, რადგან იგი განსაკუთრებული იყო. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი ნაყოფიერი წელი არცერთი არ ყოფილა: გვყავდა 6 მედალო-

სანი, რომლებიც დედაუნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხნენ და მოიპოვეს 100 პროცენტით დაფინანსება. ასევე, იყვნენ სხვა წარმატებული მოსწავლეებიც, რომლებიც სხვადასხვა პრესტიჟულ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები გახდნენ და 70 პროცენტით გრანტები მიიღეს.

წლეულსაც კარგი მე-12 კლასი გვყავს. ამჟამად, 7 მედალოსნობის კანდიდატია. ერთ-ერთი წარჩინებული მოსწავლე – ლერი ფალიძე, რესპუბლიკის მასშტაბით საუკეთესო შედეგებით მოხვდა, გაიმარჯვა „სიცოცხლის გადარჩენისთვის ხელშეწყობის პროექტში“ და ინგლისის პრესტიჟულ კოლეჯში გაიარა კურსები, სადაც შესაბამისი სერთიფიკატი გადაეცა.

– ხუთი წელიწადია, რაც სკოლის დირექტორი გახლავართ. ჯერ დავინიშნე მოვალეობის შემსრულებლად, შემდეგ გავიარე სასერტიფიკაციო გამოცდები და სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით, ამირჩიეს დირექტორად. 142-ე სკოლა გახლავთ საკმაოდ დიდი, იგი 1200 მოსწავლეზეა გათვლილი. ჩემი ხელმძღვანელობის პერიოდში 11 საკლასო ოთახი გაგარემონტეთ და მოვანერგეთ ინფრასტრუქტურა, აღვადგინეთ საინფორმაციო ოთახი. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლა გადავიყვანეთ ერთ ცვლაზე. ეს საკმაოდ წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ თუ გვინდა ხარისხზე და მაღალ შედეგებზე ვიყოთ ორიენტირებული, ერთი ცვლა უფრო ნაყოფიერია. დამეთანხმებით, რომ დიდი ხანია საათებში ბავშვის გონება უფრო კარგად ითვისებს საგნებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს სკოლაში მუშაობს „შვიდაცა ჯგუფი“ (მოგესხნებათ, რომ საპილოტე სასწავლებლებშია ასეთი ჯგუფები), რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები თანამედროვე პროექტებში. გვყავს პროფესიონალი მასწავლებლები, რომლებიც დიდი გულსყურით ეკიდებიან სქემში ჩართვას, გაიარეს რეგისტრაცია და კრედიტულულებიც დააგროვეს. მათ უკვე ჩაატარეს არაერთი ინტეგრირებული გაკვეთილი, განახორციელეს სხვადასხვა პროექტები და შემდეგ ელექტრონული ვებ-საიტზე განათავსეს. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, ის ფაქტი, რომ ჩვენმა ქართული ენის პედაგოგმა: **ლელა საურმა** ჩაატარა ძალიან კარგი საჩვენებელი გაკვეთილი **გიორგი ლეონიძის** ნაწარმოების: „ნატურის ხის“ მიხედვით – „ციციკორეს სასამართლო“, სადაც ესწრებოდნენ ცნობილი მსახიობები: **ლიკა**

ქაჯვარაძე, სოსო ჯაჭვლიანი, ჯემალ ლაღანიძე, ზაზა კოლეიშვილი და განათლების სამინისტროს წარმომადგენლები.

მიხარია, რომ ხანდახმულ და ახალგაზრდა მასწავლებლებს შორის ბალანსი დაცულია. აქ ყოველთვის ასეთი ტრადიცია იყო და ეს პროცესი გრძელდება. მე პირადად, ჩემს წინამორბედ დირექტორთან, ბატონ **სოსო ლავგულავასთან** მეგობრული ურთიერთობა მაქვს და მას ხშირად მივმართავ კონსულტაციისთვის, რჩევისთვის. ასე იქცევიან სხვა ახალგაზრდა პედაგოგებიც, ისინი აქტიურად თანამშრომლობენ თავიანთ უფროს კოლეგებთან და მათგან ძალიან ბევრ სასარგებლო რჩევას იღებენ.

სიახლეებზე მეკითხებით... სკოლაში გაიხსნა 5 პირველი კლასი, აქედან ერთი რუსული ჯგუფია. სასიამოვნო სიახლეა ისიც, რომ სკოლაში აღვადგინეთ რუსული სექტორი. ამით კმაყოფილი არიან პედაგოგებიც და ბავშვებიც. როგორც უკვე აღვნიშნე,

მზინა გომიძე

„მასწავლებელი, პირველად სასწავლებელი“ ...

პირველი კლასელისთვის დაუვიწყარია პირველი მასწავლებელი და პირველი გაკვეთილი, რომელიც განსაკუთრებულ ემოციებთან არის დაკავშირებული. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოს, თუ რა პირობებში უხდებოდა პატარებს სწავლა. თბილისის 133-ე საჯარო სკოლაში ყველანაირი პირობა შექმნილი იმისთვის, რომ მოსწავლეებმა თავი კომფორტულად იგრძნონ. ამისთვის ძალ-ღონეს

თამილა პუკინაშვილი, რომელიც სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულით ზრდის პატარებს. თავად მასწავლებლის ოჯახში დაიბადა და აღიზარდა, ახლა კი, ღირსეულად აგრძელებს დედის, ღვანდომისილი პედაგოგის **თამარ გელიტაშვილის** ტრადიციას. ქალბატონმა თამილამ, 141-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ჯერ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში განაგრძო სწავლა, მოგვიანებით კი, პედაგოგიურ ინსტიტუტში – დაწყებითების ფაკულტეტზე. არის სამი შვილის დედა და ორი შვილიშვილის ბებია. ამიტომაც, კარგად ესმის



არ იშურებს მათი დირექტორი **ლიანა ფუტყარაძე**. იგი, მეოთხე წელიწადია აღნიშნულ სკოლას ხელმძღვანელობს. შარშან 2 პირველი კლასი ჰყავდა, წელს უკვე 3 პირველი კლასი გახსნა და უკვე 5 ჰყავს. დაწყებითი კლასების პედაგოგებს შორის ერთ-ერთი გამორჩეულია 1² კლასის მასწავლებელი

ბავშვის ფსიქოლოგია და უკვე 9 წელიწადია დიდი რუდუნებით და სიყვარულით ემსახურება პედაგოგის ამ საპატიო პროფესიას. აი, თქვენ ხედავთ, როგორ შესცივინებენ თავიანთ პირველ მასწავლებლებს პირველკლასელები. **მანა განათიშვილის** ფოტო

ახა მალრძე ჩემი სკოდა

ზმაურია, გამოტოვებდა, ზარ-ზეიმის ხმა ისმის მზემ სხივებით აიტაცა პატარების ხალისი. ცეკვავს ქარი, შრიალებენ სკოლის კაბთან ფეხვები. მთაწმინდიდან თითქოს სიას მთაქვს ბოხჩით ლექსები. გააღვიძეს ვაჟა, შთობ ბრძენთა ბრძენი ილია. თათბები ამ სიბზნძეზე მზავლად გამოზრდილია. განახლებულ სკოლის ეზოს შვენის ვარსკვლავთ ფერები. მიხარია, რომ ჩემს სკოლას კიდევ მოეფერები.

მასწავლებელი!

მზე ხარ ნათელი საგსე დიმილით, სულის მეკლეგარბი დღისა და ღამის. ტვან გავინათებთ, გამთებრწყიდებით ჩვენ, ვარსკვლავები – იმედი ხვალის. წმინდა წყაბთ ხარ დაუშვტეკლი, უწყვეტ ნაკადად მოედინები, წყურვილს მოგვიკლავ, მწვერვალებსკენ ვივლით, სიამედ მოგვეფინები. ტადამბიული მთებიდან მეჩე საამურია სამყაროს ხედვა, მზე თქვენ ბრძანდებით, ჩვენ – ვარსკვლავები შუნ კი, ნამდვილად მოფარე და დედა.

მკითხველთა საყურადღებოდ!
გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: „საქპრესა“ – გურამიშვილის გამზ. 64, ტელ.: (032) 2 518 518, „მაცნე“ – საირმის ქ. კორპ N 4, ტელ.: 2 14 74 22.

თბილისის 106-ე საჯარო სკოლაში

მადიდებელი მუსიკის მნიშვნელობა



ანკრიალდა სექტემბრის ზარი. გამარჯვებაზე ყველგან და ყველას მოუხმე სწავლისკენ.

პირველად გაისმა სკოლის სასიამოვნო ზარი პირველკლასელთათვისაც, რომლებიც უღამაზესი სასკოლო ფორმებით, კოხტად გამოწყობილი მიუსხდნენ სკოლის მერხებს - ნარწერთ - „მე 1♥6“.

ეზოშივე თვალში გვხვდება აუზი გედებით, რომელიც უშუალოდ დირექტორის მიერ არის გაკეთებული, ესთეტიკურად გაფორმებულია ხელოვან დავით ასლანიშვილის მიერ.

გამოცდილი-გამობრძმედილი სკოლის დირექტორი თენგიზ გულორდავა არის პიროვნება, რომელმაც ფეხზე დააყენა დანგრეული სკოლა.

ცოტა რამ დირექტორზე ვთქვათ: დაამთავრა თბილისის მე-5 საშუალო სკოლა, ზოოტექნიკური უნივერსიტეტი, დუმბაძის სასწავლებელში ისტორიის ფაკულტეტი. 25 წელი იმსახურა მშობლიურ სკოლაში სამხედრო მასწავლებლად.

2005-2008 წლებში იყო თბილისის 59-ე საჯარო სკოლის დირექტორი, ხოლო 2013 წლიდან დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად გადაყვანილ იქნა 106-ე საჯარო სკოლაში.

დირექტორის ღვაწლი ამ სკოლაში უაღრესად ძვირფასია პედაგოგიური კოლექტივისთვის და მოსწავლეებისთვის. 2014 წელს დირექტორობის მსურველთა კონკურსის ყველა საფეხურის წარმატებით გავლის შემდეგ, უკვე სერთიფიცირებული, სკოლის სამეურვეო საბჭომ ერთხმად აირჩია დირექტორად და აქ მინდა მოვიყვანო ის ვრცელი ციტატა - სკოლის დირექტორის მოადგილის ნაზი სეთურიძის მიერ წარმოდ-

გენილი, რომელიც არის დანყებითი კლასების სპეციალისტი და ეკონომისტი. აი, რას წერს ის, - „არჩევნების დროს გვექონდა შიში იმისა, რომ კონკურსში გამარჯვებულს არჩევანი სხვა კეთილმონყოილ სკოლაზე არ გაეკეთებინა, მაგრამ პირიქით, საქმისადმი ინტერესმა, შრომისმოყვარეობის ინსტიტუტმა სძლია და არჩევანი ჩვენს სკოლაზე შეაჩერა, რაც დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. დღიდან დანიშნვისა, ნათლად და სწორად განერილი სტრატეგიული გეგმის შესრულებას შეუდგა. შექმნა კომისია, რომელმაც შეიმუშავა სკოლის „სოციალური“, და კოლექტივთან ერთად ახორციელებს სკოლისთვის სასარგებლო პროექტებს. ასეთ ხელმძღვანელს ეძებენ სკოლები, მაგრამ არ უმართლებთ. ის, რაც ჩვენს სკოლაში კეთდება, შენდება, იხატება, ამაზე სხვები ოცნებობენ. სკოლა პატარა სამოთხედ იქცა, სადაც თანამშრომლებს მუშაობა ეამყებათ. ჩვენ გავგიმართლა - რომ ერთ მუშადად შევეკრიბო კოლექტივი - „ჭირი და ღვინი ერთი უნდა გვექონდესო“. მან დაგვანახა თავისი მენეჯერული და ორგანიზაციული თვისებები, ზღვა ფანტაზია. „ჩვენი სკოლა საქართველოს მასშტაბით საუკეთესოთა შორის საუკეთესო იქნება!“ - ესაა ჩვენი სამოქმედო დევიზი. მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები, ბატონ თენგიზს მოიხსენიებენ, როგორც „აღმამენებელს!“

შარშან სკოლა დაამთავრა 56 მოსწავლემ და ბევრი წარმატებით ჩაირიცხა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

სკოლის ძლიერების განმსაზღვრელი ძლიერი პედაგოგიკური, 19 სერთიფიცირებული პედაგოგი იღვწის ამ სკოლაში: მზია ბულიაძე, ასმათ გურიელი, ლილა გაგუა, ნელი ჩოჩიშვილი, ლია ზურაბიშვილი, მზია ცხადაძე, ლია გასიტაშვილი, ცირა ბახტაძე-ბეგლარიშვილი, ლალი ადამაშვილი, ნინო ხაჩიძე, დარეჯან წულაია, ნანა ტაბატაძე, თამარ ლამბაშიძე, თეო ჯავახიშვილი, მზევინარ ოქრუაშვილი, ხათუნა გასიტაშვილი, შორენა იმედაიშვილი, იამზე სიჭინავა, ნონა ყაჯრიშვილი.

სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ცირა ბახტაძე-ბეგლარიშვილი წარმატებით ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას. გეოგრაფიის პედაგოგია და უკვე წლებია ამ სკოლაში იღვწის. სკოლის პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე ისტორიის პედაგოგი ნანი ჭანტურია, სტაჟიანი და გამოცდილი.

სკოლაში ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა, რათა უფრო სრულყოფილი და ყოვლისმომცველი იყოს ის ცოდნა, რასაც აწვდიან გაკვეთილებზე. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელია ლილა გაგუა, ტექნიკური და მათემატიკის კათედრისა - მზია ბულიაძე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა - ლილა ნაყოფია, საზოგადოებრივი მეცნიერებებისა - ხელმძღვანელი - ნელი ჩოჩიშვილი, უცხოურ ენათა კათედრისა - ლალი ადამაშ-

გაბრძელება მე-3 გვ.





ვილი, დაწყებითი საფეხურისა – **ლელა გვაზავა**, ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდისა – **ლიანა მიქელაძე-სიჭინავა**.

სკოლა გამოირჩევა სხვადასხვა პროექტებში აქტიურობით, ყველა ოლიმპიადაზე თუ განათლების სამინისტროს პროექტებში აქტიურობენ მოსწავლეები. ბიოლოგიის ოლიმპიადაზე მე-11 კლასის მოსწავლე **ანა კაჭკაჭიშვილი** გადავიდა მე-3 ტურში. იგი განათლების სამინისტრომ გაგზავნა ინგლისური ენის შემსწავლელ საზაფხულო სკოლაში, სადაც გადაეცა საერთაშორისო სერთიფიკატი. აქტიურად იღებენ მონაწილეობას „კინგის“ მათემა-

ტიკურ ოლიმპიადებში. სკოლაში დაფუძნებულია კლუბები „ისცგეო“ და „სმაილი“. ასევე არსებობს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელთა ინიციატივით მრავალი პროექტი ხორციელდება. ამ კლუბების წევრებმა მიიღეს მონაწილეობა „ეკოვიზის“ ეკო ვიქტორინაში, რომელიც მათი გუნდის „ალბატროსის“ გამარჯვებით დასრულდა. დაჯილდოვდნენ სერთიფიკატებით, საგზურებით ეკო ბანაკში **ანი აფრიაშვილი**, **ანი ბურიაშვილი**, **ანი მაკასარიშვილი**, **გიორგი ბერელიძე**, **ზურაბ სირაძე**.

დედამინის დღესთან დაკავ-

შირებით მოსწავლეებმა 200 ხე დარგეს, განხორციელდა საქველმოქმედო პროექტი – შეგროვდა ნივთები და გადაეცა სტიქით დაზარალებულთა შტაბს თბილისში. გაიმართა შეხვედრა Coop Georgia Recycling-ის წარმომადგენლებთან და სკოლას გადაეცა სპეციალური ურნები ქაღალდის, მინის და პლასტმასის შესაგროვებლად.

ზაფხვებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართულ პროექტში – „ჩემი ევროპა“, სადაც **ანი აფრიაშვილი** მიიღო სიგელი. განხორციელდა პროექტი „დედამინის საათი“, კაეროს პროექტი „მე ვიცავ ოზონს“, „ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა“.

სკოლაში არსებობს ლიტერატურული კლუბი, რომელსაც ხელმძღვანელობს ქალბატონი **ლია ზურაბიშვილი**, კლუბი სემესტრში ერთხელ უშვებს ლიტერატურულ ჟურნალს „ბუხარი“, აწყობს ღონისძიებებს, აქვთ შემოქმედებითი საღამოები საინტერესო ადამიანებთან, თანამშრომლებს ჟურნალთან „დილა“, სადაც პერიოდულად იბეჭდებოდა მათი შემოქმედება.

სკოლაში ჩამოყალიბებულია ხალხურ საკრავთა წრე



ალექსანდრე კანდელაკის ხელმძღვანელობით. იზრდებიან მომავალი მუსიკოსები, მომღერლები, მოცეკვავეები, სპორტსმენები. მდიდარია მათი შესაძლებლობები, უშრეტია და უსახურრო მათი ენერჯია, ძლიერია მათი სულიისკვეთება, თითოეულ მათგანს აქვს ამბიცია იყოს საქართველოს

ღირსეული ხეაღმშენებელი დღე-ყველაფერ ამისთვის მადლობა თქვენ – პედაგოგებო და თქვენ ბატონო თენგიზ. გისურვებთ წარმატებებს იმ გზაზე, რომელსაც ემსახურებით და რომელიც ნამდვილად მიგიყვანს ტაძრამდე.

ნანა ფიფია



ქარძო სკოლის დიდი სიკეთე

„დეა“ დიდ სიმატლებს უმზნებს



რულეზე დირექტორს და ხარისხის მართვის მენეჯერს **არსენ ბახიას**, საერთო წარმატების მიღწევაში დიდი როლი და ფუნქციები აკისრია. იგივე ითქმის მდივან-რეფერენტ **ლიკა ჯოლოგუაზეც**.

სკოლაში მოსწავლეთა აღზრდას ემსახურება 28 პედაგოგი. აქედან სერთიფიცირებულია: **ნინო ტაბატაძე**, **ანა მურაჩაშვილი**, **არსენ ბახია**, **მარინა პურიჭამიაშვილი**, **სოფიო სახაშვილი**, **მარიამ ბინკინაშვილი** და თავად **ვერა ყურულაშვილი**.

სხალნი სასწავლო წლის დღეს ამ საზეიმო განწყობის ფონზე ჩვენი სტუმარია თბილისის ერთ-ერთი გამორჩეული კერძო სკოლა „დეა“. შეხვალთ და იგრძნობთ გულსხმიერებას სკოლის ადმინისტრაციისას და თავდადებას იმ საქმისთვის, რომელსაც ემსახურებიან.

ღვანულმოსილმა, დამსახურებულმა პედაგოგმა, **ვერა ყურულაშვილი**ს იმამაყით გაგვაცნო ამ სკოლის მოკლე ისტორია და პედაგოგთა საქმიანობა.

სახელწოდებით „დეა“ – ეს სკოლა ფუნქციონირებს 2009 წლიდან. საჯარო სკოლებში რთულია განხორციელო ის გეგმები და ამოცანები ახალგაზრდების აღზრდის საქმეში, რაც შესაძლებელია კერძო სკოლაში. სწორედ ამან გადაწყვეტინა ქალბატონ ვერას ამ სკოლის დაფუძნება. მან შემოიკრიბა ძლიერი პედაგოგები და მათავარი მიზანი სწავლების მაღალი ხარისხი მიღწეულია.

შარშან სკოლა დაამთავრა 11 მოსწავლემ, აქედან 5 იყო მედალოსანი. 9 მოსწავლემ სასწავლო გრანტი აიღო, განათლების სამინისტროს ეროვნულ ოლიმპიადაზე

III ტურში მონაწილეობისთვის შავი ზღვის უნივერსიტეტში უფასოდ სწავლობენ **გერმან** და **ვიქტორ ბუხალცევი**.

ცოტა, რამ დირექტორზე ვთქვათ: **ვერა ყურულაშვილი**მა 1979 წელს დაამთავრა დედაუნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო თბილისის 138-ე საშუალო სკოლაში მასწავლებლად. აქ დიდხანს წარმატებით მოღვაწეობდა. დაანინაურეს, დაინიშნა თბილისის მე-13 სკოლის დირექტორად, სადაც მუშაობდა 2005 წლამდე, შემდეგ კერძო სკოლა – „არგოს“ თავკაცი იყო, ახლა კი მთელი შემართებით უძღვება – „დეას“. დირექტორი აქ ჩინებულ გაკვეთილებსაც ატარებს. დირექტორი ყველა ატესტაციაში გამარჯვებული გამოჩნდა. გამოცემული აქვს წიგნი – „ბავშვის აღზრდის პირველი ნაბიჯები“. ერთი წლის მანძილზე იყო მენტორი-მასწავლებელი.

დირექტორის მოადგილე ქალბატონი **ანა მურაჩაშვილი** ასევე წარმატებული პედაგოგია და სწორედ მისი დიდი შრომაცაა ჩადებული სკოლის საერთო წარმატებაში. სკოლის აღმას-

მოსწავლეები ჩართულები არიან სხვადასხვა ოლიმპიადებში თუ კონკურსებში. მაგალითად, „კინგის“ მიღებული აქვთ საუკეთესო შედეგები. ინგლისში 2 კვირიანი საგზურით დაჯილდოვდა **ლიკა გუმბერიძე** (VI კლასი), მეორე კალსელი **გიორგი გოგელია**, რომელიც III კლასის პროგრამით გამოვიდა კონკურსზე, **ნუკა დოლაძე** (VI კლ.), **ნანა ლომიძე** (VII კლ.), **სალომე ხაზარაძე** (VI კლ.) და **ჯიმშერ ჩხაპელია**.

ქიმიის საერთაშორისო კონფერენციაზე „ქიმია 2015“ მოხსენებით გამოვიდა **ჯიმშერ ჩხაპელია** და სერთიფიკატიც მიიღო.

სკოლაში ფუნქციონირებს ცეკვის წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს **ქეთევან ექვთიშვილი**, **გვანცა კაპანაძე** და **გორჩა გაბაშვილი**. სუბივილების ანსამბლში ცეკვავს **მარიამ აბრამიშვილი**, სამეჯლისო ცეკვის პროფესიონალია **ნანა ლომიძე**.

პედაგოგი **როზა კახარიანი**

ვრები: **სოფიო ბახანდარიშვილი**, **მარიამ ზაალიშვილი**.

იდგმება სპექტაკლები: „ბურატინომ“, „სალამურამ“ და „ვერის უბნის მელოდიებმა“ განსაკუთრებული მონაწილეობა დაიმსახურა – ხელმძღვანელი **მაკა ნიკოლაიშვილი**, მუსიკალური გამგომებელი **მარიამ ბერძენიშვილი**.

ჰყავთ ნორჩი ფეხბურთელები: **გიორგი მამალაძე**, **აკაკი ხუბუნიშვილი**. ძიუდოსტები: **გიორგი მჭედლიშვილი** და **ალექსი გიგანი**. II კლასელი კარატისტი **ზვიად დამბაძე** და **საბა – ამიკო კიკნაძე**. ჩოგბურთელები: **ანა მაქაცარია**, რომელმაც საქართველოს სპორტულ ოლიმპიადაში მიიღო მონაწილეობა. კალათბურთელები – **ტატო ჩადუნელი**, **სანდრო საყვარელიძე**. მოჭადრაკეები: **გიორგი – ნიკოლოზ გაბიდაური**, **ლუკა მეთოფიშვილი**, **სოფო ბახანდარიშვილი**, **ლუკა ქაჯაია**. არიან სათხილამურო სპორტის ოსტატე-



ხელმძღვანელობს შპს „დეას“ სკოლის გაერთიანებულ გუნდს.

პოპულარულია ფოლკლორული ანსამბლი „ოდოქერი“, ხელმძღვანელი **ანზორ ქველაძე**. გამორჩეული ფოლკლორისტიები არიან: **ნიკოლოზ გაბიდაური**, **ლუკა მეთოფიშვილი**, **სოსო ჩარგაზია**, **საბა ჩარგაზია**, **გიორგი ბიგვაჯა** და **დავით ვასაძე**. მინდა აღვნიშნო სკოლის ნორჩი მხატ-

ბიც და-ძმა **ნიკა** და **ნინო გოგობი**.

სკოლას აქვს ბუფეტი და ემსახურება ტრანსპორტი, ფუნქციონირებს გახანგრძლივებული დღის I-დან VIII კლასის ჩათვლით.

ასეთი მუშაობით სკოლა „დეა“ დიდ გამარჯვებებს უმზნებს.

ტრიფონ ხუხუა - 100 სახალხო მოძღვრელი, ლოცბანი, ჟომპოხიციონი



ტრიფონ ხუხუა

რბ დიდებული დრო იყო მას - გასული საუკუნის 60-70-იანი წლები. საქართველოში მუსიკალური ხელოვნების, კერძოდ, ხალხური სიმღერების ბუმი იდგა, ისეთი, როგორც ზაქარია ფალიაშვილის გენიას შეეფერებოდა. ხალხური ანსამბლების დიდოსტატთა სიმღერები ყოველ დღით რადიოთი ტკბილმშობლიურ ჰანგებზე ეფინებოდა მთელ საქართველოს, იღვრებოდა ჯადოსნური მელოდოები და ხალისს, სიხარულს ანიჭებდა მშრომელებს, რომანტიკასა და შეროიკას ამკვიდრებდა.

ამ ლეგენდარულ მომღერალთა შორის თავისი ხელწერით გამოირჩეოდა დიდი ხელოვანის ტრიფონ ხუხუას ანსამბლის მიერ შესრულებული შედეგები. საჭიროა, აუცილებელია, დღევანდელი ახალგაზრდობა, მომდევნო თაობები იცნობდნენ ამ დიდ წინაპარს, ბუმბერაზ ხელოვანს.

მოკლედ, კალეიდოსკოპური თანამიმდევრობით, ფრაგმენტულად გავეცნოთ მის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ტრიფონ ხუხუა დაიბადა მარტვილის რაიონის სოფელ კინიაში, კერძოდ, ლეხუხუეში. კინია ერთ-ერთი უმშვენიერესი, მუზის შთამბავებელი სოფელია მთელ სამეგრელოში. პატარა ტრიფონმა მუსიკალური გატაცება ბავშვობიდანვე გამოავლინა. ერთ ყველაზე მაღალ გორაზე, რომელსაც „ოსხაპუე“ ერქვა, ჯარიანობა იმართებოდა. აქ გაიფურჩქნა მისი,

როგორც შემდგომში ჯადოქარი მომღერლის ნიჭი.

ტრიფონი ხშირად ხალხურ სიმღერას ყანაშიც სწავლობდა. „პირველი ხმა მქონდა და ყანის მთონელები ჩამიყენებდნენ, რათა სიმღერაში შეეშველებოდნენ“, - იგონებდა იგი. ტრიფონი ლოტბარობის ხელოვნებას სიჭაბუკეშივე დაეუფლა.

1925 წელს კინიას საშუალო სკოლაში მომღერალთა გუნდი ჩამოაყალიბა მასწავლებელმა ვალიკო ჭუბაბიამ, რომელიც რემა შელეგიას საუკეთესო მოსწავლე იყო. ამ გუნდში ტრიფონიც მღეროდა.

ტრიფონ ხუხუამ 1930 წელს სწავლა განაგრძო ქალაქ ცხაკაიას პედსასწავლებელში. აქ მან ჩამოაყალიბა გაერთიანებული გუნდი, რომელმაც არაერთი კონცერტი ჩაატარა ფოთისა და სამეგრელოს რაიონების მშრომელებისათვის. ამ ანსამბლს მაღალ შეფასებას აძლევდა იმდროინდელი რაიონული პრესა. ბავშვობიდანვე მუსიკით გატაცებული ტრიფონ ხუხუა საკმაოდ გაინაფა ლოტბარობაში. იგი ფრიადზე სწავლას კარგად უთავსებდა პედაგოგიური სასწავლებლის მომღერალთა გუნდის ლოტბარობას.

სასწავლებელში ტრიფონ ხუხუასთან ერთად სწავლობდა პროფესორი ავქსენტი მიშველაძე. იგი წერს: „ეს გუნდი უცბად გახმაურდა მთელ ქალაქში, რაც იმან გამოიწვია, რომ სრულიად მოულოდნელად რადიომ მთელ ქალაქს მოსდო ძველი მეგრული, გურული და იმერული სიმღერების ტკბილი ჰანგები“.

პედაგოგიური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ოცდაორი წლის ტრიფონი მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. მან ორი გუნდი ჩამოაყალიბა სკოლაში. ერთი - დანყებითი კლასების მოსწავლეებისგან (I-II-III კლასები), მეორე - უფროსკლასელთაგან, რომელთაც ისტორიასა და საზოგადოებრივმცოდნეობას ასწავლიდა.

კონცერტებმა, ოლიმპიადებმა, გამარჯვებებმა ტრიფონს შორს გაუთქვა სახელი და, მამინდელი პარტიის რაიკომის ბიუროს დადგენილებით, 1936 წელს გადაყვანილ იქნა გეგეჭკორის (მარ-

ტვილის) რაიონული კულტურის სახლის დირექტორად და ანსამბლის ხელმძღვანელად. ამასთანავე ასწავლიდა მუსიკას გეგეჭკორის პედაგოგიურ სასწავლებელში. არც მშობლიური სოფლის სკოლა დაუტოვებია უყურადღებოდ. სკ-



ოჯახი

ოლის გუნდებს სათავეში ჩაუყენა თავისი აღზრდილები ლავრენტი ხარებუა და პარმენ სალუქვაძე.

გეგეჭკორში ტრიფონ ხუხუამ, ჩამოაყალიბა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ქორეოგრაფად მიიწვია ფოთელი შოთა ჩახავა. მან აგრეთვე ჩამოაყალიბა დრამატული კოლექტივი, რომელიც შემდეგში მცირე ფორმის პიესებს დგამდა სცენაზე.

როგორც მსახიობი, ტრიფონი მდიდარი სცენური მონაცემებისა და შესანიშნავი გარდასახვის უნარის მქონე გახლდათ. დაუფინყარია მისი ოსტატობით შესრულებული მთავარი როლები პიესებში: სანდრო შანშიაშვილის „ხევისბერი გოჩა“, შალვა დადიანის „გეგეჭკორი“, სერგო კლდიაშვილის „გმირთა თაობა“, სიმონ მთვარაძის „სურამის ციხე“, პ. კალანდაძის „ქრისტინე“, აკაკი წერეთლის „პატარა კახი“... ყოველ როლს იგი მონდომებით და დახვეწილი ოსტატობით ასრულებდა.

მეორე მსოფლიო ომმა ერთიანად შეცვალა ცხოვრების რიტმი, მაგრამ მარტვილის სარაიონო კულტურის სახლში მუშაობა ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა. ანსამბლის მრავალი წევრი ფრონტზე იბრძოდა, რომელთაგან ბევრი აღარ დაბრუნებულა. ტრიფონმა საკუთარ მხრებზე განიცადა საბჭოური რეპრესიების სისასტიკე, მაგრამ თავის საქმეს ბოლომდე უერთგულა.

1950-1952 წლებში მარტვილის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი რაიონის სიამაყედ ითვლება. ანსამბლი საკონცერტო გასტროლებს მართავდა ყველა სოფელში. მისი რეპერტუარი ვრცელი იყო. აღსანიშნავია „კუჩხი ბედინერი“, „ოლია“, „ორეშხვი“, „ხემხვი“, „მუხასი გვარი“, „ისო“, „ჩაი და ფაბრიკა“, „ჩქიმი ჩაი“, იმერული

„იერიში“, „ცხენოსნური“ (ცეკვითა და სიმღერით), „ფერხული“ - „ხუჯიში ოსხაპური“ (ცეკვითა და სიმღერით) და სხვ.

მრავალი წლის უანგარო, მონდომებული და ნაყოფიერი მუშაობის, ოლიმპიადებზე მიღწეუ-

სენაკის, ჩხორონყუს, ხონის, ზუგდიდის რაიონულ და საქალაქო ანსამბლებში, მაგრამ იგი მშობლიურ რაიონს იშვიათად ტოვებდა.

თბილისში ჩასული ტრიფონ ხუხუა ხშირად მიმართავდა ხოლ-

მი წარმატებების გამო, ტრიფონ ხუხუას 1951 წელს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა. გაჭედილის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, პავლე ჯანჯღავამ, ერთ-ერთმა პირველმა ააშენა დიდებული სამეურნეო კულტურის სახლი, მოაწყო შესანიშნავი ავეჯით, შეიძინა ჩონგურები, ხალხური ინსტრუმენტები, მოიწვია ტრიფონ ხუხუა დირექტორად

მე კონსულტაციისათვის კომპოზიტორებს: გრ. კოკლადეს, მის. ჩირინაშვილს, პროფ. გრ. ჩხიკვაძეს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეებს ავ. მეგრელიძეს, კ. პაჭკორიას, კ. ვაშაკიძეს და დ. ჭკუასელს, სიმღერის დიდოსტატს ნიკო ხურციას და სხვებს.

1961 წელს, მე-9 რესპუბლიკური ოლიმპიადის მზადების დროს, გეგეჭკორის რაიონული კულტურის სახლის სიმღე-



და სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელად. „ანსამბლის რეპერტუარიდან მშრომელთა შორის წარმატებით სარგებლობდა ტრ. ხუხუას მიერ შექმნილი სახასიათო საკოლმეურნეო სიმღერები, როგორც არის „ბებია“, რომელშიც განსახიერებულა ზარმაცი, უქნარა კოლმეურნის ტიპი, „სიმღერა მეჩაიზე“, „მუ ჯგირი რე ჩქინი ჩაი“, გადამუშავებული „ჯანსულო“ და სხვ.


ტრიფონ ხუხუა არაერთხელ მიიწვიეს რაიონული ანსამბლის ხელმძღვანელად გაგრამი, ასევე

რისა და ცეკვის ანსამბლების ხელმძღვანელი კვლავ ტრიფონ ხუხუა იყო, ქორეოგრაფი კი - გივი ნიწვივაძე. ოლიმპიადებზე ანსამბლმა საუკეთესო შეფასება მიიღო, ჟიურიმ იგი გაზეთ „კომუნისტში“ გამარჯვებულთა შორის მოიხსენია.

ტრიფონ ხუხუა 1961 წლიდან მოყოლებული მუშაობდა კინის საშუალო სკოლის დანყებითი კლასების მასწავლებლად, სასოფლო კულტურის სახლის დირექტორად (რომელიც მისი სახელო-



(ხუხუაბი მღერაინ: ზაური, მარი, ჯამალი)



ბისაა). ამავე სოფლის საკოლმეურნეო ანსამბლის ხელმძღვანელად, დიდი ჭყონისა და კინის საშუალო სკოლების მოსწავლეთა და მომღერალთა გუნდების ხელმძღვანელად და ყველგან წარმატებას აღწევდა.

კინელთა ანსამბლი ტრიფონ ხუხუას მიერ შექმნილთა ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ეს ანსამბლი არაერთ რაიონულ თუ რესპუბლიკურ დათვლიერებაში მონაწილეობდა, აღფრთოვანებული საგაზეთო წერილები და ქების სიგელებიც დაიმსახურა. ანსამბლის რეპერტუარი შედგებოდა ძირითადად ძუკუ ლოლუას, ნოკო ხურციას, რემა შელეიას, ცოლქმარი აკობიების, აქვსენტი მეგრელიძის, ტრიფონ ხუხუასა და სხვათა მიერ შექმნილი და აღდგენილი მეგრული სიმღერების სიძლიერისგან.

ასეთი წმინდა ეთნოგრაფიული ანსამბლი ტრიფონ ხუხუას არასდროს ჰყოლია. კინაში მოღვაწეობის წლებში მან მოინდომა სოფლის სახალხო თეატრის ჩამოყალიბება. ამას ხელი შეუწყო 1964

სა, როგორც ხალხური სიმღერის მოამბავს და ზურაბ ანჯაფარიძის პირველ დამკვალთანებელს.

1974 წელს ტრიფონ ხუხუა კვლავ რაიონული ანსამბლის ხელმძღვანელად მიიწვიეს, მაგრამ, სამწუხაროდ, არ დასცალდა საქმესთან შეჭიდება; 1975 წლის 14 ივნისს იგი მოულოდნელად გარდაიცვალა.

ტრიფონ ხუხუას დიდ ოჯახში ყველა მღეროდა. როცა ტრიფონს უმცროსი ვაჟები, ჯემალი და ზაური წამოეზარდა, ოჯახურმა ანსამბლმა სრულყოფილი სახე მიიღო. პირველი ხმა – თალინა, მეორე ხმა – ზაური და სამი ბანი – ტრიფონი, ომარი და ჯემალი. ლოტბარმა პანტე ზოჯგუამ ასე მიმართა ტრიფონს: „ასეთი საოჯახო ანსამბლი იშვიათობაა“. ყველანი მღერიან დღესაც და აგრძელებენ დიდებული ხელოვანის საქმეს, ემსახურებიან ხალხს ქართული ხალხური სიმღერით.

ტრიფონ ხუხუა ასამდე სიმღერის ავტორია. თვითმოქმედ კომპოზიტორს შექმნილი აქვს სიმ-

ვილზე“, პოეტ ვ. ფშაველას ლექსი „დიდი თამარი“. აღსანიშნავია ტრიფონ ხუხუას მიერ შექმნილი სიმღერები „ზარმაცი ბექია“, „მათეია“, „მარებელი“, „წინუცანა“, „ბუდღუ დო კესარია“ და ბევრი სხვა, რომელთა მელოდიაც საკუთარ ლექსებზე აქვს შექმნილი. ტრიფონ ხუხუა თავისი სიმღერების აკომპანიმენტად იყენებდა ქართულ ხალხურ საკრავებს: ჩონგურს, ფანდურს, დოლს, სალამურს. მისი შემოქმედების ერთ-ერთი შედეგია ექსპრესიული სიმღერა „მარულა“ (ცხენოსნური).

მარტივში, ტრიფონ ხუხუას სახელობის სარაიონო კულტურის სახლში გაიმართა გამოჩენილი ლოტბარის 90 წლისთავის იუბილე.

ტრიფონ ხუხუას უმცროსმა ვა-



მა (ხელმძღვანელი, ომარ ხუხუა) ტრადიციულად მაღალ დონეზე შეასრულა ხალხური სიმღერები.

ბევრმა ანსამბლმა დაამშვენა საიუბილეო საღამო, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის უხუცესი მომღერლები, რომლებიც ბატონ ტრიფონის დიდ

დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ტრიფონ ხუხუას ბიოგრაფია. ლონისძიების დასასრულს, რამდენიმე სიმღერა შეასრულა ტრიფონ ხუხუას შვილიშვილმა ტატო ხუხუამ მეგობრებთან ლაშა შონია, ვლადიმერ შონია, დიმიტრი კაკულიასთან ერთად. ლონისძიე-



უიშვილმა, მარტივლის სამუსიკო სკოლის დირექტორმა ზაურ ხუხუამ, ნიგნად გამოსცა და ნოტებზე გადაიტანა 32 სიმღერა, რაც მნიშვნელოვანი საჩუქარია ხალხური სიმღერების მოყვარულთათვის. ამით, ტრიფონ ხუხუას მიერ შექმნილი 100-მდე ხალხური სიმღერის ნაწილი დაკარგვას გადაურჩა.

საიუბილეო საღამოს სცენაზე

გუნდში მღეროდნენ. ესენი არიან: საშა კვესელავა, სერგო კოკია, ამირან კვაშილავა, შოთა ციციხვაია, აპოლონ ნონორია, ვაჟა უჩავა, რეზო დანელია, ლერი ხურცილავა.

კიდევ ბევრის, ძალიან ბევრის თქმა შეიძლება ამ დიდი შემოქმედის ნაღვან-ნაამაგარზე, მაგრამ გაზეთის ფორმატი არ გვაძლევს ამის საშუალებას.

დიდება ისეთ დიდ მამულიშვილებს, როგორც იყო ტრიფონ ხუხუა!

ზორის მიხვალაქა, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

სიყვარულის კვლი ხალხის გულში აიბო

ძეგლი ავიგე ხელთუქმნელი, უნეტარესი, – წერდა პუშკინი. ასეთი ძეგლი სიყვარულისა ხალხის გულში დაიდგა დიდმა მაცესტრომ.

2015 წლის 5 ივნისს მარტივლის მუნიციპალიტეტის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში, საქართველოს დამსახურებული მოღვაწის, ლოტბარის – ტრიფონ ხუხუას დაბადების 100 წლისთავი აღინიშნა.

საღამოზე მოწვეულ სტუმრებს შორის იმყოფებოდნენ: მარტივლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გაბისონია, თავმჯდომარის მოადგილე ვარლამ ქაჯაია, გამგებლის მოადგილე დავით სილაგავა, კულტურის, განათლების, სპორტის განვითარების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდული სამსახურის უფროსი მურმან ნონორია, მარტივლის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის ხელმძღვანელი პაშა გულორდავა, ტრიფონ ხუხუას შვილები ჯემალი და თალინა ხუხუები, შთამომავლები, დიდი ხელოვანის ნიჭის დამფასებლები.

ლონისძიებაზე, სამუსიკო სკოლის მოსწავლეების მიერ შესრულებულ იქნა სიმღერები, მათ

ბის ბოლოს ტატო ხუხუამ სტუმრებს ტრიფონ ხუხუას უფროსი ვაჟის ომარ ხუხუას ნიგნები, რომანი – „კოლხური ზარი“ და ვაჟა ეგრისელის პოეზიის რეცენზიები „ქება და დიდება ქართულია ენისაი“ აჩუქა. ომარ ხუხუა ცნობილი იყო როგორც ქართული ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელი, ანსამბლის ხელმძღვანელი, ფოლკლორისტი და კომპოზიტორი. „კოლხური ზარი“ ომარ ხუხუას პირველი ვრცელი პროზაული ნაწარმოებია. ლონისძიებაზე წუთიერი დუმილით აღინიშნა ამავე სამუსიკო სკოლის ყოფილი დირექტორის და რაიონული ანსამბლის ხელმძღვანელის ანგანსვენებული ზაურ ხუხუას ხსოვნა, რომელიც გახლდათ ტრიფონ ხუხუას უმცროსი ვაჟიშვილი.

უდიდესი მადლობა მარტივლის მუნიციპალიტეტის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლის პედაგოგებზე: დირექტორს დავით კვანტალიანს, დირექტორის მოადგილეს მზია ჩიქოვაძეს, ალიოზა გაბეშიას, ვარდენ სილაგავას, როინ ხარებავას, მანანა მიცხულავას, აზა ნონორიას, დალი ფაჩულიას. განსაკუთრებული მადლიერება გვინდა გამოვხატოთ ლეონა დევდისი მით, რომელმაც ითავა, გაემართა ტრიფონ ხუხუას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. უდიდესი მადლობა სამუსიკო სკოლის აღსაზრდელებს: მილენა კველიშვილს, ნინო დანელიას, გურამ ზარქუას, გურამ ცანავას, რეზო თოდუას, ნინო ჩაჩიბიას, იოანა სულავას, ელენე გაბისონიას, მარიამ გრიგალავას, თამარ ფარულავას სამუსიკო სკოლის ვაჟთა ტრიოს – ცოტნე ჩაჩიბიას, გიორგი თოდუას, ალექო ჯიჯელავას და სხვებს. ასევე დიდი მადლობა მარტიველ ბიზნესმენებს კახა კვესელავას და ილო გალდავას ფინანსური მხარდაჭერისთვის.

ეს დაუვიწყარი ზეიმი იყო დაფასება დიდი ხელოვანის დიდი ღვაწლისა და ამავსა მშობელი ხალხის წინაშე.

ტატო ხუხუა



წლის ივლისის თვეში, ვერიკო ანჯაფარიძის ჩამობრძანებამ მშობლიურ სოფელში ედიშერ მალაშვილთან, სესილია თაყაიშვილთან და სანდრო ყორყორიანთან ერთად. ვერიკო კარგად იცნობდა ტრიფონის მოღვაწეობას, აფასებდა მას უპირველეს ყოვლი-

ღერები საბჭოთა კავშირის გმირ გრიგოლ სხულუხიაზე (ტექსტი ხუტა ბერულავასი). ამავე პოეტის ტექსტზე შექმნა „სიმღერა მიშაკოვსა და შალამბერიძეზე“. პოეტ ი. აბაშიძის ლექსი „სიმღერა კაპიტან ბუხაიძეზე“, პოეტ ს. ფაცაცის ლექსი „დავით გურამიშ-

ერთმანეთს ცვლიდნენ ტრიფონ ხუხუას შვილები: თალინა, ომარი, ჯემალი და ზაური. შვილიშვილები: ერეკლე და ტატო, ტატომ (უმცროსმა ტრიფონმა) ბაბუას უძღვნა თავისი მამის – ომარ ხუხუას სიმღერა.

კინის მომღერალთა ჯგუფ-



თბილისის 149-ე საჯარო სკოლაში

სწავლა ასე ღაპინყაით



ნანა ჯუღელი

როგორ შეხვდნენ დედაქალაქის საჯარო სკოლები ახალ სასწავლო წელს და რა სიახლეები დაწერდნენ? ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება თბილისის 149-ე საჯარო სკოლის დირექტორი – **ნანა ჯუღელი**:

– მინდა გითხრათ, რომ თემქის დასახლებაში 149-ე სკოლა ერთ-ერთი საიმედოა. აქ მოსულმა მშობლებმა იცის, რომ მისი შვილი არ დარჩება უყურადღებოდ და შესაბამის ცოდნასაც მიიღებს. წლებულს გვყავდა 4 მედალოსანი კურსდამთავრებული, აქედან ორმა: **ქეთევან ქარდავამ** და **მარიამ ცისკაძემ** მიიღო 100 პროცენტის დაფინანსება, ხოლო **მარიამ კოდელაშვილმა** ორმოცდაათ პროცენტისა.

სკოლაში პროგრესი ნამდვილად შეიმჩნევა, ერთი წლის შედეგებით კმაყოფილი ვარ, თუმცა, არის საკითხები, რომელზე-

დაც მოგვიწევს მუშაობა... სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ გვყავს სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებული ბავშვები, რომლებიც შემდეგ გახდნენ საზაფხულო ბანაკის მონაწილეები. მოსწავლეთა თვითმმართველობამ ძალიან აქტიურად იმუშავა. სპორტში გვაქვს კარგი შედეგი, ჩვენი მოსწავლეები დარბაზის ფეხბურთში ჯერ, საქართველოს ჩემპიონები გახდნენ და შემდეგ, ოლიმპიელები. ახლა კი, ხორვატიაში მიემგზავრებიან, მათი პედაგოგია **ელგუჯა გუზიტაშვილი**. ასევე, კმაყოფილი ვარ სერთიფიცირებული პედაგოგების საქმიანობით, რომლებიც დროულად ჩაერთვნენ სქემაში და ხელახლა უნდა წარადგინონ თავიანთი შესრულებული ნამუშევრები. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო **ზურაბ მარეხაშვილის** ღვაწლი სკოლის წინაშე, რომელიც ჩვენს სკოლაში ასწავლის ისტორიას. იგი გახლავთ სერთიფიცირებული პედაგოგი და არის საუკეთესო 25 პროცენტში მოხვედრილი. ბატონი **ზურაბი** 149-ე სკოლის კურსდამთავრებულია, არის კარგი პროფესიონალი და ძალიან უყვართ ბავშვებს. ასევე, გამოცდილი პედაგოგია **ჟუჟუნა პაპაშვილი**, რომელიც ქართული ენისა და ლიტერატურის არაჩვეულებრივი მასწავლებელია. მინდა გამოვყო **ელისო შალიტაური**, რომელიც თავის საქმის პროფესიონალია. ვიცით, უფრო მეტი არის გასაკუთრებული, გამოკვეთილი ნაკლოვანებები და გაანალიზებულია მიღწევებიც. სკოლაში უკვე არის მზაობა იმისათვის,

რომ ძირეული ცვლილება განხორციელდეს და ეს ყველაფერი მასწავლებლისგან უნდა წამოვიდეს. მასწავლებელი არის ყველა წარმატების თავი და თავი.

სიახლეა მასწავლებელთა შეფასების სქემა. მოხდა პედაგოგთა კატეგორიებად დაყოფა. ეს ყველაფერი კი, ითვალისწინებს მიზანმიმართულ მუშაობას, წინასწარ იქნება გათვლილი, თუ რა უნდა გააკეთოს თითოეულმა პედაგოგმა. ის რომ სკოლაში იყოს ჯანსაღი კონკურენცია, სკოლის ბაზაზე მოხდეს მასწავლებელთა პროფესიული დახელოვნება, ჩვენ ამისათვის მზად ვართ და პედაგოგიური კოლექტივი მოტივირებულია ამისათვის.



სკოლის თვითმმართველობა

აღსანიშნავია ის, რომ წელს გაუმჯობესებული ხარისხის კომპიუტერები გადაეცათ პირველკლასელებს. გვყავს სამი პირველი კლასი, სულ 76 მოსწავლე. ორგანიზაცია „ენგადმა“, პატარებს გა-

დასცა სასმელი წყალი. ეს სიმბოლურიც არის. რადგან წყალი სიცოცხლის და სინმინდის სიმბოლოა. ბავშვებიც ხომ სუფთა და სპეტაკები არიან, ამიტომ წყლის გადაცემის ფაქტი ძალიან მომეწონა.

დიდი ხანია სკოლაში ვმუშაობ და ვამჩნევ დიდია თაობათა შორის განსხვავება. ახლანდელი თაობა უფრო ლაღები არიან, ვიდრე წინა თაობა, უფრო მომთხროვნები და თითოეულ მათგანს, შეიძლება ითქვას „სამყაროს ჭიპად“ მიაჩნია საკუთარი თავი ანუ ფიქრობენ, რომ სამყარო მათ ირგვლივ ტრიალებს. ამიტომ, მათთან მუშაობა გაცილებით რთულია, რადგანაც უკვე აქვთ ჩამოყალიბებული საკუთარი „მე“... მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პედაგოგების 90 პროცენტს, სხვადასხვა თაობასთან ურთიერთობის გამოცდილება აქვთ, მაინც უჭირს... ჩვენი სკოლის ერთ-ერთ-



ზურაბ მარეხაშვილი

ველობა და ტარდება მოსწავლეთა თვითმმართველობის დღე. კონკრეტულად, აღნიშნულ დღეს, პედაგოგებიც და ნებისმიერი თანამდებობის პირი (დირექტორიდან დაწყებული, დარაჯის ჩათვლით) არის მოსწავლე. უფროსებიც მათ გვერდით ვიყავით, მაგრამ როლები გვექონდა გაცვლილი. შედეგი მივიღეთ ძალიან კარგი. ბავშვები იყვნენ ძალიან მობილიზებული. წესრიგს არ არღვევდნენ, არ ცელქობდნენ და ცდილობდნენ ერთმანეთისთვის ხელი არ შეეშალათ.

სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრები არიან: **საბა ლეჟავა, მარიამ გორგოძე, სოფო ჯიჭონია და მარი დეკანოიძე**. მათი მთავარი ორგანიზატორია **თინა გორგიჭიანი**, დირექტორის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში.

თვითმმართველობა დაგვეხმარა იმაში, რომ დაგვედგინა სკოლის რეტირინგი, კითხვარის მიხედვით გამოკითხა ორასამდე რესპოდენტი და გაირკვა, რომ მოსახლეობა დადებითად აფასებს ჩვენი სკოლის მუშაობას.

აზია გომოძე

სიახლეებმა „გუჯს იმედი ჩავკისხა“



ნანა სასწავლო წელს ბევრი სიახლე შემოგვთავაზა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, მისი დანერგვისა და განხორციელების გზებზე გვესაუბრებთან მონიშნავე სკოლის დირექტორები.

ნანი ბიორბაძე

თბილისის 52-ე საჯარო სკოლის დირექტორი

ჯერ გასული სასწავლო წლის მიღწევებზე მოკლედ მოგასხებთ: საგნობრივ ოლიმპიადებში ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა გაგვახარეს. საკმაოდ ბევრმა გადალახა I და II ტური სხვადასხვა საგნებ-

ში, ასევე გვყავს გამარჯვებულები მესამე ტურში. მათ შორის რუსულ ენაში რესპუბლიკაში I ადგილი დაიკავა ჩვენი სკოლის XI კლასის მოსწავლემ **სოფო მანჯგალაძემ**, რომელმაც დაიმსახურა ფულადი პრემია 1000 ლარის ოდენობით, ასევე დაჯილდოვდა მასწავლებელი **ლიანა მასხარაშვილი**.

შარშან „მოქალაქეს“ ოლიმპიადაში XI კლასელმა სკოლის თვითმმართველობის პრეზიდენტმა **კონსტანტინე კველიშვილმა** საპატიო ადგილი დაიკავა და ოქსფორდის უნივერსიტეტში უფასოდ სწავლის უფლება მოიპოვა. „ევერესტის“ მიერ ჩატარებულ მათემატიკურ ოლიმპიადებში ფინანლისტი გახდა 55 მოსწავლე. II და III ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა 23 მოსწავლე. ვერცხლის ათეულში მოხვდა II კლასელი **ლუკა მურულუა**. „შერლოკის“ ოლიმპიადაში ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ინგლისურ ენასა და მათემატიკაში ფინანლისტი გახდა 40 მოსწავლე. ფეხბურთში ვაკე-საბურთალოს რაიონში დავიკავეთ პირველი ადგილი. მონაწილეობა მივიღეთ ინტელექტის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში „რა, სად, როდის“, სადაც ქალაქის მასშტაბით ასევე პირველი ადგილი დავიკავეთ.

2014-2015 სასწავლო წელს სკოლა დაამთავრა 117-მა მოსწავლემ და აქედან 50-მა პროცენტმა აიღო გრანტი, 8 მოსწავ-

ლემ 100%-იანი, 22-მა 70%-იანი, ხოლო 50%-იანი გრანტი აიღო 29 მოსწავლემ.

ახალმა სასწავლო წელმა სკოლებს უამრავი სიახლე შესთავაზა, ერთ-ერთია მასწავლებელთა პედაგოგიური საქმიანობის დაწყების და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართვა. ამ პროგრამის განხორციელებისათვის სკოლის ადმინისტრაციამ სრულ მხარდაჭერას უცხადებს პედაგოგიურ კოლექტივს. სკოლას 52 სერთიფიცირებული მასწავლებელი ჰყავს, მათ საქმიანობაზე განსაკუთრებით აისახება ის სახელფასო ზრდა, რომელიც განახორციელა სახელმწიფომ 2015 წლის სექტემბრიდან.

გავხსენით 5 პირველი კლასი 135 მოსწავლით. ყველა პირობას ვუქმნით, რათა შევაცუაროთ ნიგინი და ხალისიანად შეუდგნენ იმ დიდ გზას, რასაც ცოდნის შექმნა ჰქვია.

ახალი სასწავლო წლიდან სკოლის ადმინისტრაცია საგნობრივ კათედრებთან შეთანხმებით, გეგმავს შიდა სასკოლო სასწავლო ოლიმპიადების ჩატარებას. ასევე ვგეგმავთ უფრო ინტენსიურად გამოვიყენოთ თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები სასწავლო პროცესში.

სკოლის ცხოვრებაში მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობა წელს უფრო აქტიური და ხალისიანი იქნება.

ესაუბრა რომან მოსევილი

მოგვენატრა პროფესორ ნაპო ლემონჯავას სონეტები. 80 წლის გოეთე ბრინყინვალე ლექსებს წერდა. ბატონი ნაპო 90-ს უკაკუნებს



სონეტი ღაგით ჯალალონისა

შენ მომიღოცე დამდეგ, თბი ათას თხუთმეტი, ფიქრად გზლები ყოფა ჩემი ლტოლვა-ნასეტყვის. მისუტყვებ წინსვლას ფრიალ მტკიენიულ გზაზე, – ვისმენ შთიდან მოყვრის ნაღდს და ღირებულ აზრებს...

გგონია: ისეც ის ვაბ, რაიც ვიყავი აღბრე? ბეტიაცს წლები მთბუნავს, ხიბლი, დაგვაბრე ძველი... იქნებ ზოგი რამ შეეძელ, რაღაცა თითქოს ვცადე, – დამიღმქვაგს შაბა ხანგრძლივ აზაადელი, ძნელი...

დღეს კი უმწოდ ვზრები წყალობამეწყვეტილი, – დანშნულ დახმარებას აღარ მაძლევენ, ვხედავ, – წაბთმევის მიზნს ვეძებ, თუმც ესეც რაღას შევლის?

ხომ მიბიჯავდნენ თანხას წარსულ შეიდიოდ წელი? ახლა მიმეჭრა, რადგან მიმეტებს მე ტექტობი, – უაბით ვუსტუმრებთიგარ მაღალი სავაბტელით...

ქართული სული - პატრიოტული გზა

„გმირო, მამულის მადიდო!“



თანამედროვე საგან-მანათლებლო სისტემა რომ სწავლა-სწავლებასთან ერთად მთავარ პრიორიტეტებად მოსწავლეთა სულიერ აღზრდასა და მათ ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას გულისხმობს, უკვე ყველასათვის ცნობილი ფაქტია. როგორც სხვაგან, ჩვენთანაც, 133-ე საჯარო სკოლაში, ამ მიზნის მიღწევის უმთავრესი გზა აღსაზრდელეებში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებაა, რასაც ვერ მიაღწევს ზნეობრივი მაგალითების გარეშე, საბედნი-

ბისა და საქმიანობის მიმართ. ეს ინტერესი გააძლიერა იმანაც, რომ მათი მეგობრის, **სოფო ლაგურაშვილის** ბიძა, **ლერი ლაგურაშვილი**, აგვისტოს ომში გმირულად დაიღუპა, დაჯილდოებულია „**ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენითა და მედლით „სამშობლოსათვის თავდადებული“**“. ზემოთქმულმა განაპირობა ის, რომ დიდი ენთუზიაზმით ჩავერთეთ პროექტში „**წერილები ჯარისკაცებს**“ და ავლანეთში, ფარვანის პროვინციაში დისლოცირებულ საქართველოს შეიარაღებული ძალების IV მექანი-

ამ ყველაზე და სოფო წერეთელი. დრო ჩვეულებრივზე მალე გავიდა და პატარებმა სასიხარულო ინფორმაცია მიიღეს: ქართველი ჯარისკაცების მიერ მათი წერილების მიღების შესახებ ყველა საინფორმაციო გამოშვება იტყობინებოდა. სიხარულს ვერ მალავდნენ **გიორგი გიორგიძე, ანამარია ოშიაძე, ილია საბაძე**.

21 სექტემბერს, მშვიდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს მშვიდობის დამცველები თბილისის 133-ე საჯარო სკოლის პატარა მეგობრებს შეხვდნენ. ბავშვებს საპასუხო წერილები სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთი სარდლობის ოფიცრებმა მოუტანეს და სამახსოვროდ 43-ე ბატალიონის მიერ გამოგზავნილი საქართველოს სახელმწიფო დროშა გადასცეს, რომელიც ავლანეთში, ფარვანის პროვინციაში, ბაგრამის საავიაციო ბაზაზე ბატალიონის მართვის პუნქტის წინ იყო აღმართული.

ოფიცრებმა პატარა მეგობრებს ვიდეორგოლიც უჩვენეს და აუხსნეს, როგორ უზრუნველყოფენ ქართველი ჯარისკაცები მათი თანატოლების მშვიდობასა და უსაფრთხოებას ავლანეთში.



სკოლის დირექტორმა **ლიანა ფუტყარაძემ** თავის გამოსვლაში მადლობა გადაუხადა სტუმრებს, საგანგებოდ აღნიშნა მათი საქმიანობის მნიშვნელობა და იმედი გამოთქვა, რომ მისი სკოლის მოსწავლეების სახით ქვეყანას ღირსეული მემკვიდრეები ეზრდება.

მოსწავლეები კი სიხარულის ცრემლებს ვერ მალავდნენ, როცა უმამაცესი სულისკვეთებით სავსე უკეთილშობილეს წერილებს კითხულობდნენ. ისინი მშვიდობისდამცველებს ქართული ხალხური საბრძოლო, პეროიკული სიმღერა „**ლაშქრულით**“ შეეგებნენ, ბევრი თბილი სიტყვა უთხრეს, შეხვე-

დრის ბოლოს კი თეატრალური წარმოდგენა „**სათაფარი**“ შესთავაზეს. **სოფო ლაგურაშვილმა, ნათია გოცაძემ და მარიამ მარნაძემ** ყველას სახელით მადლობა გადაუხადეს წერილის ავტორებსაც და სტუმრებსაც, აღნიშნეს, რომ ღირსეული სწავლითა და მამულიშვილობით უპასუხებენ წერილებში გამოთქმულ კეთილსურვილებს

ნინო ძვრივიშვილი, თბილისის 133-ე საჯარო სკოლის ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელი



ეროდ, იმ ერის შვილები ვართ და იმ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც ასეთი მაგალითები უთვალავია.

სწორედ ამიტომ იყო, რომ ჩემი სადამრიგებლო VI კლასის მოსწავლეებმა კითხვაზე: **ვინ არის თქვენთვის გმირი?** ჩვენს დიდ წინაპრებთან ერთად 2008 წლის აგვისტოს გმირები და მსოფლიო სამშვიდობო მისიათა მონაწილე ჯარისკაცები დაასახელეს. მათ დიდი ინტერესი გამოიჩინეს ამ სასახელო ადამიანთა ცხოვრე-

ბისა და საქმიანობის მიმართ. ეს ინტერესი გააძლიერა იმანაც, რომ მათი მეგობრის, **სოფო ლაგურაშვილის** ბიძა, **ლერი ლაგურაშვილი**, აგვისტოს ომში გმირულად დაიღუპა, დაჯილდოებულია „**ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენითა და მედლით „სამშობლოსათვის თავდადებული“**“. ზემოთქმულმა განაპირობა ის, რომ დიდი ენთუზიაზმით ჩავერთეთ პროექტში „**წერილები ჯარისკაცებს**“ და ავლანეთში, ფარვანის პროვინციაში დისლოცირებულ საქართველოს შეიარაღებული ძალების IV მექანიზებული ბრიგადის სამხედროებს წერილები გავეუზავნეთ. პატარებმა ამ წერილებს დიდი სიყვარული და სითბო ჩააქსოვეს: „ჩემო კარგო ჯარისკაცო,“ – ასე იწყებდნენ მიმართვას **ლევან ჯამუხაძე, დათო ჩხაიძე, ლუკა ფხალაძე, თენგიზ სამხარაძე**. მათი ფიქრებითა და ოცნებებით ინტერესდებოდნენ **ნათია გურგენიძე და ნათია სიხარულიძე. ანი ხუციანიძეს, ანი ხუციანიძესა და ნიკა ოვანოვს** უნდოდათ, გაეგოთ, როგორ წარმოუდგენიათ მეომრებს თავიანთი დაბრუნება სამშობლოსა და ოჯახებში. დავმეგობრდეთო, – შესთავაზა მამაც ჯარისკაცს **გიორგი ლიპარტელიანი**...

მთავარი კი ამის შემდეგ დაიწყო... მოლოდინი იმაზე უფრო მეტად რთული და საინტერესო აღმოჩნდა, ვიდრე წარმოუდგინა: – ნეტავი, ჩვენი წერილები გზაში ხომ არ დაიკარგა? – ნეტავი, პასუხი ყველას მოგვივა? – ვერ ისვენებდნენ **მარ-**



ჭრემანუძეები ღმერთმა გვიმტავლეს!

სკოლის ერთგული მუშაკი



თბილისის ერთ-ერთი წარმატებული, მე-10 საჯარო სკოლის დირექტორ **ბელა ხუბუტიასთან** საუბრისას გამოიკვეთა, რომ სკოლის დირექცია, მისი კოლექტივი საქმიანობის სხვა ძირითად საკითხებთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებასა და მის დაცვას. სკოლის დარაჯები კოლექტივს მხარში უდგანან.

შეკითხვაზე, როგორ ასრულებენ ისინი ამ მოვალეობას, **ბელა ხუბუტია** განსა-

კუთრებული კმაყოფილებით აღნიშნა სკოლის დარაჯის **ჯუმბერ ლომთაძის** უანგარო, ერთგული საქმიანობა. იგი თანამდებობრივი ფუნქციის შესრულებაში უაღრესად ყურადღებიანი, პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებაა. ამასთან ერთად, იგი სკოლის დირექციას უანგაროდ ემსახურება სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების კუთხით არა ერთი ტექნიკური საკითხის გადაწყვეტაში.

გავესაუბრე სკოლის მოსწავლეების **თამუნა და ბექა კეტაშვილების** მშობელს **ბელა კეტაშვილს**, **ჯუმბერ ლომთაძე** სკოლაში ჩვენი პირველი მასპინძელია, წესრიგის აქტიური დამცველია. ეს ნიშნავს, რომ თავისებურად პასუხისმგებლობის მატარებელია სასწავლო პროცესზეც. ყურადღებიანია, აკვირდება მოსწავლეთა ყოფა-ქცევას, მშობელივით რჩევა-დარიგებას აძლევს. მარტო ამით არ კმაყოფილდება, იგი ახალგაზრდების მეგობარია, გულის სითბოს უნაწილებს მათ. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეთა თხოვნა-სურვილსაც ითვალისწინებს, ეხმარება ახალგაზრდებს.

მის სამორიგეო ოთახში ნახავთ დაგვიანებულ, ან შეუძლოდ მყოფ მოსწავლეებს. არის შემთხვევები, როდესაც ეხმარება

დაკარგული ნივთების მოძებნაში. ამიტომ ყველას უყვარს ბატონი **ჯუმბერი**. ჩემთან საუბარში ეს პატივისცემა გამოხატეს: **ნიკოლოზ შერმაძინმა, მიმიკო მეტონიძემ, ერეკლე ბუგიაშვილმა, ანა ხატიაშვილმა, ნათია გოგიაშვილმა, იაია გაბრიჭიძემ, ირმა ჩაჩუამ, მარინე სიდიანმა, ხატია ჭილაშვილმა, სოფო გოგელიანი, ალბინა მარგიევამ, გიორგი ალადაშვილმა, ანი ჯოხაძემ, ვასილ ბიჭიკაშვილმა და ბევრმა სხვამ**.

სკოლაში სწავლობენ უნარშეზღუდული მოსწავლეებიც. მათ სიყვარულით ეკიდება ბატონი **ჯუმბერი**. ეს აღნიშნეს: **ლევან ჩანგელიამ, გვანცა ბუტიკაშვილმა, მარი კოვზირიძემ, გიორგი ჯორბენაძემ, მარიამ და ზაზა ნადირაძეებმა და სხვებმა**.

ბატონი **ჯუმბერის** შესახებ თბილად ისაუბრეს დირექტორის მოადგილეებმა: **მარეზ ირემაძემ, მარიკა ჩიკვაძემ, მარიამ რატიანმა, ბეკრი მოსწავლე მას „ჯუმბერ ბაბუს“** ეძახის.

მადლიერნი არიან და დადებითად აფასებენ მის საქმიანობას პედაგოგები: **ნელი ბურჭულაძე, ქეთი დოლიძე, თამარ ბურჭულაძე, ნინო რამიშვილი, მარინე გიორგაძე, ნანა ადამია, მედეა შენგელია,**

ლელა გუგუშაშვილი, ვალიდა მამასახლიშვილი, თამრიკო გუგაძე, დალი ბარამიძე და სხვები.

მალალი შეფასება მისცა კოლეგას შემცველმა დარაჯმა **ბადრი ლომიძემ**. ამ ჰუმანურ კაცზე ახლა გაგაცნობთ ორსტროფიან ლექსს, რომელიც მას მეუღლემ, ნანამ დაბადების დღეს უძღვნა:

„მე შენ ვისურვებ ისეთ სიბერეს, წლებს მანძილზე აზრდაგტყობოდეს, და რაც დათესე, თუ არ მითიქი, ნულარ იხადვლებ ჩემგან იცოდე.“

მე შენ ვისურვებ ისე გეცხოვროს, და ბევრი გყავდეს მისიყვარულე, მე შენ ვისურვებ სულის სიმშვიდეს, მეგობრისთვის და ჩვენთვის იცოტაწლე.

ამ სურვილებს, **ჯუმბერ ლომთაძის** მიმართ ბეკრი წარმოთქვამს. **რომან მოსეშვილი**

ნინა კუცია - 95

პედაგოგიური დინასტიის დიდი დინასტიის

სკოლის სვედა



მკ, სად არიან ახლა ისეთი თავდადებული, მონოდებით და გატაცებით მოღვაწე მასწავლებლები, როგორც ნინა კუცია გახლდათ? იგი ყველას უყვარდა: მოსწავლეს, ხალხს, სოფელს. არ მეგულება ერთი პიროვნებაც კი, მასზე ნაწყენი რომ ყოფილიყო. ეს იშვიათი რამეა. ეს დიდი ადამიანობაა. გამოჩენილ პედაგოგს ზუსტად მიესადაგება იმ ხანებში დაწერილი იოსებ ნონეშვილის სტრიქონები: „ეცადნენ და ვერ გამხადეს ბოროტი, ეცადნენ და ვერ გამხადეს ფლიდი, ნუთისოფელს ასე შერჩე ბოლომდი, ესეც კი ხომ გმირობაა დიდი“.

იგი დედაუნივერსიტეტის აღზრდილი პედაგოგი, დიდი წარმატებით გვასწავლიდა ქიმიას. როგორც იტყვიან „თავში გვიდებდა ცოდნას“ - ისეთი ადვილად გასაგები და მიმზიდველი ახსნა იცოდა გაკვეთილებისა. საგანს გვასწავლიდა ცხოვრების კონკრეტულ მაგალითებთან კავშირში, ცოცხალი მაგალითების მოშველიებით, ლაბორატორიული ცდებით გათვალისწინებულს. ზეპირად ვიცოდით მენდელეევის ტაბულა. ვიცოდით, რატომ არ იწვის წყალი, რომელია გოგირდმჟავას ფორმულა და ბევრი სხვა.

მაშინ კადრების დეფიციტი იყო და ქალბატონი ნინა ბიოლოგიას, კერძოდ, მის შემადგენელ ნაწილებს: ბოტანიკასა და ანატომია-ფიზიოლოგიას, ფლორასა და

ფაუნასაც გვასწავლიდა. შემდეგში კვალი-ფიციური კადრები შემოემატა ოჩამჩირის რაიონის ახალი კინდლის საშუალო სკოლას: ვარლამ ქარდავა, ოლიფანტი ხარბელია, ნაპო გერგედავა, სონა ბარდაველიძე და სხვები, რომლებთანაც ნინა კუციას მეგობრული, შემოქმედებითი ურთიერთობა მუდამ აკავშირებდა.

დიდი პედაგოგი კოლეგებთან, მოსწავლეებთან ადამიანური ურთიერთობის დიდოსტატი იყო. ბრწყინვალე აღმზრდელ-დამრიგებელი. ჩვენ, მოსწავლეები მასთან ვმეგობრობდით. მასთან თანამშრომლობით ისე მოხიბული ვიყავით, თანატოლი გვეგონა.

მხოლოდ პედაგოგი არ ყოფილა ნინა კუცია. იგი დიდხანს დირექტორის მოადგილედ მეთად ნაყოფიერად მუშაობდა. ამასთან ერთად, იყო სოფლის თვალისჩინი, თანასოფელელთა ჭირსა და ღვინაში თანამდგომი.

და დიდი პედაგოგის მდიდარ, ლამაზ ბიოგრაფიაში ყველაზე მთავარი ისაა, რომ ნინა კუცია გახლავთ პედაგოგიური ოჯახის დიდი დინასტიის. დაახ, მისი ოჯახის თითქმის ყველა წევრი პედაგოგიურ ასპარეზზე იღვწოდა და ესტაფეტა დღესაც გრძელდება.

ოჯახის მამა, დამსახურებული მასწავლებელი მიხეილ რუხაია ამ სკოლაში ისტორიის ასწავლიდა. აგრეთვე მუშაობდა ძველი კინდლის დღის და ახალი კინდლის საღამოს სკოლების დირექტორად. მინიჭებული ჰქონდა აფხაზეთის დამსახურებული პედაგოგის წოდება. იყო უაღრესად თანამედროვე, კეთილსინდისიერი და იუმორის ნიჭით მადლცხებული პიროვნება.

უფროსი ქალიშვილი ლუიზა რუხაია, გეოგრაფიის სპეციალისტი, ამჟვე სკოლაში მუშაობდა ლაბორანტად და მის მხარდამხარ მოღვაწეობდა ასევე პედაგოგად ბიოლოგიის ფაკულტეტდამთავრებული მისი მეუღლე გენადი გვიშაიანი.

ნინა კუციას საამაყო ვაჟიშვილი ხიმურ რუხაია, მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის დედაუნივერსიტეტის გამოყენებითი ლოგიკისა და პროგრამირების ლაბორატორიის გამგე და პროფესორი გახლავთ. იგი 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, შვიდი სამეცნიერო ხარისხის მაძიებლის ხელმძღვანელი, სტუდენტთა საერთაშორისო სკოლის ლექტორ-

რია. ხიმურის მეუღლე ქრისტინე ჯმუხაძეც მათემატიკის სპეციალისტია.

ნინას უმცროსი ქალიშვილი ლიანა რუხაია დედის კვალს გაჰყვა, დამთავრა დედაუნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი და სამედიცინო ინსტიტუტში (მაშინ ასე ერქვა) მოღვაწეობდა.

ვაგლახ, რომ ქართველ ხალხს თავს დაატყდა დიდი ტრაგედია. აფხაზეთის ძმთამკვლელი ომი. როგორც ყველა, ეს პედაგოგიური ოჯახიც დევნილად იქცა. ნინა კუციას სათუთმა გულმა ვერ გაუძლო ამ უბედურებას და რამდენიმე წელიწადში, მარტის ერთ სუსხიან-თოვლიან დღეს უკვდავების ბინადარი გახდა. დიდი პედაგოგი თბილისის (მუხატაგვერდის) თბილამ მინამ მიიზარა. იმ დღეს მისმა მეუღლემ, მიხეილ რუხაიამ, რომელთა ცხოვრება ცოლ-ქმრული სიყვარულისა და ერთგულების ეტალონია და მისაბაძი უნდა იყოს ახალგაზრდობისთვის, ამაღელვებელი, მადლობის სიტყვებით გააცილა მეუღლე სამუდამო სასუფეველში.

ნინა კუციას პედაგოგიურმა ოჯახმა კიდევ უფრო იმძლავრა. ღირსეულად აიტაცეს ესტაფეტა მისმა შვილიშვილებმა, შეავსეს იგი ახალი სახეებით, მეცნიერ-პედაგოგებით. მარინე და მამუკა გვიშაიანებმა მეცნიერ-ინტელიგენტთა წრე უფრო გააფართოვეს და ასევე მოიქცნენ შვილთაშვილები: ბაჩანა და თამარ ჩხეიძეები.

ხიმურ რუხაია ოთხი შვილის მამაა. ნინო რუხაია-მოსემლელიშვილი უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორია. მიხეილ რუხაია (უმცროსი) კომპიუტერულ მეცნიერებათა დოქტორია. გიორგი რუხაია დედაუნივერსიტეტის მაგისტრანტია. ვახტანგ რუხაია ჯერ სკოლის მოსწავლეა და მალე შეუერთდება პედაგოგთა და მეცნიერთა დიდ ოჯახს.

ო, როგორ იამაყებდა ნინა კუცია, ამით რომ მოსწრებოდა, უმაღ წამოიძახებდა: ამისთვის ნამდვილად ღირდა ცხოვრებაო.

ასეთია ნინა კუციას თავდაუზოგავი ღვაწლის გასახარელი ნაყოფ-შედეგი - ძლიერი, დიდი პედაგოგებისა და მეცნიერების ოჯახი, რომლის მესაძირკვლედ იგი მიხეილ რუხაიასთან ერთად მარად დარჩება.

ზორის მიშველაძე, პედაგოგიის დოქტორი

უკვე სექტემბერია და ყველა სკოლისკენ იჭქაბის, დღეს მოფუგუნე ზარი ბევრია, დადუმებულა მხოლოდ ის ზარი.

ბოძელიც ჩემთვის რეკდა თდესდაც ახლა რომ დუმილს აიძულებენ, ამდენი ხეწუნა მეც კი მომბეზრდა... თუმც ძველებურად აქ კვლავ შრომობენ.

შრომაც იციან, სწავლაც სწყურიათ, მაგრამ საეჭვოდ კვლავ დუმს ის ზარი, სკოლის დახურვას მე რომ მოვეწწარ, ნეტავი, იყოს მხოლოდ სიზმარი.

საწუხაროდ კი, ეს სიმართლეა, დადუმებულა ჩემი ის ზარი, სწავლის მსურველნი სხვაგან მიდიან, ამ სკოლისაკენ არეინ იჭქაბის.

ღმერთო, შენ ისენ ეს ჩემი სკოლა და გაუნათე იმ ხალხს გონება, ვისაც ადვილად ხელეწიფება ამ სკოლის გახსნა და შთაგონება.

ეს შამადელის სკოლაზე ვთქვი და, ვიცო, რომ ბევრს სჭიბს სხვაგან ამგვარი, ყველას იმედად მინდა აღფრთქვა, რომ მათაც, ვფიქრობ, ჰყავს ამავღაბი.

ზურაბ ქოზალია, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შამადელას თემი

კატა წავებთლიტიკოსთ!

„ფილანთონი“ ნოდია

- ამირან, ფილანთონი კაცი ხარ და იმდენი როგორ არ იცი, შენს ნათლიას რომ არ უნდა დაეჭიდო? - უსაყვედურა ქრისტე ღმერთმა.

- გაა, ფილანთონი კაცი ხარ და იმდენი როგორ არ იცი, რომ ქართველი სასიქადულო მწერლები: რობაქიძე, გამსახურდია, ამირეჯიბი, დუმბაძე არ უნდა დააკნინო და გააქილიკო?

იცის, როგორ არ იცის, მაგრამ, ვაი რომ, სხვაგან მარხია ძალის თავი. რალა დროს ამ მწერლების შეფასება? მათ ხომ კარგა ხანია, ქართველმა ხალხმა ღირსეული ადგილი მიუჩინა კლასიკოსთა ფარვატერ-

ში? რაში დასჭირდა ნოდია მათზე საუბრის წამოწყება, მეტი საქმე არ ჰქონდა? - იკითხავს მკითხველი.

- ვერ გავიგე, არ მესმისო, რატომ თვლიან გამსახურდიას დიდ მწერლადო?

ეს გამსახურდიას პრობლემაა, თუ გიას გრძელი ჭკუისა? მოვალეობის გამო წავიკითხეო. ვინ დაგაძალათ? შენს ბედზე არ არის ცოცხალი ნოდარ დუმბაძე, თორემ მაგის იუმორის ამბავი რომ ვიცით, ფუნაგორიას გიძღვნიდა:

გამსახურდია, ჭაბუა შენგან საგმოზი როდია?

ეგრე როდია, ნოდია, შენ რომ მოჰყვები ბოდიალს.

- კაცო, ვინა ხარ, რად ჩემულობ დუმბაძის ადოკატობასო - წამოხტება ნოდია.

- როგორ ვინა ვარ? ქართველი მკითხველი ვარ, მოსე მწერალი. არავის ვაპატიებ ჩემი თანამემამულის დამცირებას.

ნოდია „სიბრძნის ზანდუკი“ ვის დაკარგვია, სხვაგან რომ არ ემარხოს ძალის თავი.

ეს მწერლები, ნოდია მცირე ხნით განათლების მინისტრობისას, სკოლაშიც და უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლებოდა. თაობები მათ წანარმოებებზე იზრდებოდნენ, ყალიბდებოდნენ ენა-მამულის სიყვარულით. ამბობენ, ნოდია „ილიაუნში“ სტუდენტებს ლექციებს უკითხავსო. საით უმიზნებს ნოდია? მკითხველო, ქვეტექსტი შენ გამოიცან!

მოსე მწერალი

იუბილე ვიცოცხავთ



იუბილეს ვულოცავთ ჩვენი კლასის დამრიგებელს, ქალბატონ ნაზი ჭანტურას, რომელმაც რვა ათეულ წელს გადააიჯა და ჩვენთვის ისევე ისეთი ლამაზი და სიმპათიური „ნაზი გურიელოვანა“, რომლის ერთი შემოხედვაც კი საკმარისი იყო, რომ საკლასო ოთახში „სამარისეზური სიჩუმე“ ჩამოვარდნილიყო. იგი მშვიდი ხმით რუსული ლიტერატურის კლასიკოსების შედეგებზე გვესაუბრებოდა.

გმადლობთ, ნაზი გურიელოვანა ბავშვობის იმ ლამაზი წლებისათვის და გისურვებთ, კიდევ დიდხანს იყოთ ჩვენთან ერთად.

X კლასის მოსწავლეთა სახელით: ნათია გურგენიძე, ოლიკო ავლოხაშვილი, თამარიკო კალმახელიძე, ნინო გოგვაძე, ნუნუ მათურელი, ლია ქსოვრელი.

რედაქტორი ზორის მიშველაძე

სახალხო განათლება № 11 (4515) 30 სექტემბერი, 2015 წელი გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რ ე ღ კ ო ლ ე ბ ი ა

ზურაბ ქოზალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ზორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსემელი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

E-mail: sakhalkho.ganatileba@gmail.com

ტელ: (0 32) 2 99 80 00 (0 32) 2 98 48 07; (0 32) 2 99 63 52

ISSN 1987-9113



9 771987 911009